



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N17

ქ. მარნეული

06.11.2015 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, კოტე ბოჭოიძე, ვანო ბურნაძე, ირაკლი ბურნაძე, ქამილ ალიევი, რამიზ გულმამედოვი, ჯომგუნ ზეინალოვი, არსენ ახვერდიანი, მაილ მიქიევი, მამედ მამედოვი, ისმაილ ბაირამოვი, რაფიკ ჯაფაროვი, ლევონ აკოპიანი, ნიზამი ვალიევი, მახირ იუსუბოვი, ზურაბ ჭონიაშვილი, ელხან მუფტიევი, რაფიკ მუსაევი.

არ ესწრებოდა:

-რუსტამ ფაშაევი, აიდა ხაჩიკიანი, ბესიკ გუჯეჯიანი, გივი ქველაძე, რაგიმ ასკეროვი, ლერი მუმლაძე, აზიდ ოსმანოვი, გიორგი შუკაკიძე, ნიკოლოზ გოგოჭური, ვალი ისმაილოვი, რიჩარდ გიგანი, ზურაბ სხირტლაძე, სულეიმან ხალილოვი.

სხდომას ესწრებოდა:

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტის, კულტურისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი მამუკა ნავერიანი, შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი „ალგეთის“ დირექტორი ენგურ ნავერიანი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი როენა ახოზაძე.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „მარნეული TV“-ს ტელევიზიის წარმომადგენლები, გაზეთ „ოზანი“-ს რედაქტორი ქამილ მუსაევი, მოქალაქე ლანა ხეხელაშვილი.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების“ თავმჯდომარის განცხადების განხილვის შესახებ

2. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 9 თვის ანგარიშის მოსმენის შესახებ
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 6 ოქტომბრის N03/4005 წერილის განხილვის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქალაქ მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატის რაგიმ ასკეროვის განცხადების განხილვის შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, თამარისის მაჟორიტარი დეპუტატის რიჩარდ გიგანის განცხადების განხილვის შესახებ.
7. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კაპანახჩის მაჟორიტარი დეპუტატის ელხან მუფტიევის განცხადების განხილვის შესახებ.
8. ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრი“-ს 2015 წლის 5 ნოემბრის N03/4657 წერილის განხილვის შესახებ.
9. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ
10. მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახლოლალში მცხოვრები მოქალაქე აბასალ გულიევის განცხადების განხილვის შესახებ.
11. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 5 ოქტომბრის N03/3954 წერილის განხილვის შესახებ.
12. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 8 ოქტომბრის N2728-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
13. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 30 ოქტომბრის N3056-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
14. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 4 ნოემბრის N3130-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
15. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 4 ნოემბრის N3137-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
16. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 5 ნოემბრის N03/4656 წერილის განხილვის შესახებ
17. სოციალური საკითხები
18. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 6 ნოემბრის N03/4661 წერილის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვალი ისმაილოვი არ ესწრებოდა სხდომას, ინფორმაცია გააკეთა საკრებულოს წევრმა რამიზ გიულმამედოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე მუხლისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2015 წლის 5 ოქტომბერს დარეგისტრირდა ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატები“ და ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულია რამიზ გიულმამედოვი, რაც საკრებულოს წევრების მიერ მიღებული იქნა ცნობად (განკარგულება N155. 06.11.2015წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგინებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგინება N36. 06.11.2015 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს მუხლობრივად გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში როგორც შემოსულობების, ასევე ხარჯვით ნაწილში და უპასუხა საკრებულოს წევრების შეკითხვებს. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ წარმოადგინა კომისიის დასკვნა, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი ბიუჯეტის 2015 წლის 9 თვის შედეგები შეფასებულია დადებითად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N167. 06.11.2015 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 6 ოქტომბრის N03/4005 წერილით შემოსული შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „ალგეთი“-ს 2015 წლის 26 აგვისტოს N28 წერილი და ბიუჯეტში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით ითხოვა თანხმობა, რათა შეტანილი იქნეს ცვლილება შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „ალგეთი“-ს 2015 წლის ხარჯთაღრიცხვაში და დამტკიცდეს წარმოდგენილი კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N170. 06.11.2015 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ქალაქ მარნეულის ტერიტორიული ერთეულიდან რაგიმ ასკეროვის განცხადება და ითხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს ქალაქ მარნეულში მდებარე მეჩეთების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის დავალიანების დასაფარად ქვითარი N50/11357893-ს მიხედვით 49 ლარი და 18 თეთრი და ქვითარი N 50/11359199-ს მიხედვით - 116 ლარი და 64 თეთრის გადარიცხვა მეჩეთების მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N168. 06.11.2015 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, თამარისის მაჟორიტარი დეპუტატის რიჩარდ გიგანის განცხადება და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N298 განკარგულებით დადგენილი ლიმიტის ფარგლებში ითხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს 67 ლარისა და 68 თეთრის გადარიცხვა ს/ს ენერგო პრო ჯორჯიას ანგარიშზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ თამარისის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანების დასაფარად, ხოლო 350 ლარი სოფელ თამარისის ეკლესიის ელექტროენერგიის 7თვის (აპრილი-ოქტომბერი) დავალიანების დასაფარად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N160. 06.11.2015 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კაპანახჩის მაჟორიტარი დეპუტატის ელხან მუფტიევის განცხადება და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 11 სექტემბრის N142 განკარგულების მე-2 პუნქტის გათვალისწინებით ითხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს 174 ლარისა და 20 თეთრის გადარიცხვა ს/ს ენერგო პრო ჯორჯიას ანგარიშზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კესალოში მშენებარე მონასტრის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანების დასაფარად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N156. 06.11.2015 წ).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 5 ნოემბრის N03/4657 წერილით შემოსული ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრი“-ს 2015 წლის 4 ნოემბრის N40 წერილისა და ბიუჯეტში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით, საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა, რათა შეტანილი იქნეს ცვლილება ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრი“-ს 2015 წლის ხარჯთაღრიცხვასა და საშტატო განრიგში და დამტკიცდეს წარმოდგენილი კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი .

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N162.06.11.2015 წ).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 5 ნოემბრის N03/4660 წერილის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე და 61-ე მუხლების საფუძველზე, საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N161. 06.11.2015 წ).

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახლოალალოში მცხოვრები მოქალაქე აბასალ გულიევის განცხადება და ითხოვა თანხმობა, რათა მარნეულის

მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, როგორც გამონაკლისი, უზრუნველყოს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახლოლოლოში მცხოვრები აბასალი გულიევისათვის 500 ლარის გადარიცხვა მის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე, რათა მან ინვალისტიკური შვილიშვილისათვის შეიძინოს ინვალისტიკის სავარძელი (ინვალისტიკის ჭოჭინა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N169. 06.11.2015 წ).

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 5 ოქტომბრის N03/3954 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის კ) ქვეპუნქტის საფუძველზე, საკრებულოს წევრებს სთხოვა მხარდაჭერა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს საგზაო ნიშნების განთავსება და სარკინიგზო გადასასვლელების მისასვლელი გზების შეკეთება შემდეგ ადგილებზე: სოფელი სადახლო კმ. 2569 პკ 1 - დასაყენებელია უშლაგაუმო სარკინიგზო გადასასვლელის მაუწყებელი საგზაო ნიშანი; სოფელი სამება კმ. 2563 პკ 4 და კმ.2565 პკ 4 - დასაყენებელია უშლაგაუმო სარკინიგზო გადასასვლელის მაუწყებელი საგზაო ნიშანი და სარკინიგზო გადასასვლელთან მიახლოების ნიშანი, ასევე შესაკეთებელია მისასვლელი გზების საავტომობილო გზა; სოფელ ზემო სარალი კმ.2560 პკ 2 - გზის ავტოგზა ასაწვია ორივე მხარეს და შესაკეთებელია, ასევე დასაყენებელია უშლაგაუმო სარკინიგზო გადასასვლელის მაუწყებელი საგზაო ნიშანი; სოფელი სარალი კმ.2557 პკ.6 - დასაყენებელია უშლაგაუმო სარკინიგზო გადასასვლელის მაუწყებელი საგზაო ნიშანი და სარკინიგზო გადასასვლელთან მიახლოების ნიშანი;

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N171. 06.11.2015 წ).

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 9 ოქტომბრის N03/4105 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 8 ოქტომბრის N2728-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა, რათა მოქალაქე ანაიდა მირქარიანის (პ/ნ. N28001056878) საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აღრიცხულია შემდეგი მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.02.14.284, მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, 9 აპრილის ქუჩა N4)

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N157. 06.11.2015 წ)

13. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 ნოემბრის N03/4593 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 30 ოქტომბრის N3056-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა, რათა მოქალაქე გულუზარ მუსაევას (პ/ნ. N28001064048) საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული

სააგენტოში აღრიცხულია შემდეგი მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.02.23,838, მიენიჭოს მისამართი, ქალაქი მარნეული, მაზნიაშვილის ქუჩა, ჩიხი I, სახლი N2ა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N158. 06.11.2015 წ.)

14. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 5 ნოემბრის N03/4659 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 4 ნოემბრის N3130-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა, რათა მოქალაქე ალიმ მამედოვის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის ტექ.ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხულია შემდეგი მონაცემებით: ქალაქი მარნეული, მუსხელიშვილის ქუჩა ნ/გ, მიენიჭოს მისამართი, ქალაქი მარნეული, მუსხელიშვილის ქუჩა N2 ბ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N159. 06.11.2015 წ.).

15. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთხუთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 5 ნოემბრის N03/4658 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 4 ნოემბრის N3137-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა, რათა მოქალაქე ლაყვარდი შავაძის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში აღრიცხულია შემდეგი მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.02.17.512, მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, მერაბ კოსტავას ქუჩა N80

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N163. 06.11.2015 წ.).

16. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთექვსმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 5 ნოემბრის N03/4656 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 5 ნოემბრის N3164-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა, რათა შევიდეს ცვლილება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 116კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიმართ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში არსებულ რეგისტრაციულ ჩანაწერებში (საკადასტრო კოდი N83.02.05.920) და მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია განხორციელდეს შ.პ.ს. „არქიტექტურა 2009“-ს მიერ 2015 წლის 30 ოქტომბერს მომზადებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N166. 06.11.2015 წ.).

17. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეჩვიდმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რაფიკ მუსაევმა საკრებულოს წევრებს გააცნო იმ მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სახის დახმარებებს და ვერ ჯდებიან მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურისათვის დამტკიცებულ სოციალურ პროგრამაში, ასევე გააკეთა ინფორმაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაცემული საგარანტიო წერილებით აღებული ვალდებულების შესახებ და წარმოადგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნები, რომლის მიხედვითაც მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს გაეწევათ სხვადასხვა დახმარებები **ერთჯერადი დახმარებისათვის** - რზა რზაევს-100 ლარი, სერგო შუბითიძეს-100 ლარი, ნურადინ იუსუბოვს-100 ლარი, მიზდონ ბედიანს-100 ლარი, ეგანე ბაირამოვას-100 ლარი, რომან ცხადიაშვილეს-100 ლარი, გოხარ ლიანზოვს-100, დურდანა გულიევას-100 ლარი, ალასკერ აბასოვს-100 ლარი, ელიზბარ ხუდიევს-100 ლარი, სოფიკო ცხადიაშვილს-100 ლარი, ელჩინ ორუჯოვს-100 ლარი, სოხბადდინ ნაიბოვს-100 ლარი, რაფიგა ისმაილოვას-100 ლარი, რუხია ალიევას-100 ლარი, რასულ ადგოზალოვს-100 ლარი, ფაშა გურბანოვს-100 ლარი, მინაიათ მამედოვას-100 ლარი, ლაურა ბარსეგიანს-100 ლარი, ნარიმან მანსიროვს-100 ლარი, იმრან ახმედოვს-100 ლარი, მარზია მამედოვას-100 ლარი, ნაზიმ შარიფოვს-100 ლარი, არიფ იმანოვს-100 ლარი, სალმან ნასიბოვს-100 ლარი, ილიაზ ჰასანოვს-100 ლარი, რაიბულ კურბანოვს-100 ლარი, ელმან მამედოვს-100 ლარი, სანამ ჯალილოვას-100 ლარი, მეერ სუკასიანს-100 ლარი, პარი ბაირამოვას-100 ლარი, ნაზდი დოვრუშოვას-150 ლარი, შამილ დოვრუშოვს-150 ლარი, ლაჩინ კარახმანოვს-100 ლარი, გულჩიჩაკ ნაბიევას-100 ლარი, ბორის ისმაილოვს-100 ლარი, შახმარდან ეიუბოვს-100 ლარი, ზურაბ დიასამიძეს-100 ლარი, გულნაზი ფანგანს-100 ლარი, მერი ქალდანს-100 ლარი, ლატიფ ემინოვს-100 ლარი, ელკიზ ხუდავერდიევს-100 ლარი, გელა ქალდანს-100 ლარი, ირადა ემინოვას-100 ლარი, ხეირანსა ქერიმოვას-100 ლარი, ციცინო მაისურამეს-100 ლარი. **მედიკამენტებისათვის** - მეხმან ბაბაევს-250 ლარი, ხალადინ სულეიმანოვს-140 ლარი, მუშავარ კაბლაიქერიმოვის მეუღლეს ასრატ კაბლაიქერიმოვას-160 ლარი, ახმედ ალიევს-265 ლარი, სამილა გუსენოვას-85 ლარი, ნაირა გულედანს-300 ლარი, იგორ ცხადიაშვილს-250 ლარი, ელმარ მახმუდოვის მეუღლეს გულანდამ მახმუდოვას-600 ლარი, ამრახ სულთანოვის მეუღლეს ნიზა სულთანოვს-400 ლარი, ხაზინ ზეინალოვს-450 ლარი, ამილა იუსიფოვას-225 ლარი, ელჩინ კურბანოვის მამას ნიზამი ყურბანოვს-600 ლარი, ისკანდარ ბაირამოვს-400 ლარი, ქენან მამედოვის შვლს ნიჰად მამედოვს-350 ლარი, ზოია კიკნამეს-400 ლარი, გულდარან ისმაილოვას-170 ლარი, იუნუს ისმაილოვს-340 ლარი, მაჰამედ გაჯიევის-600 ლარი, სახიბ ახვერდიევს დედას ხეირანსა ახვერდიევას-600 ლარი, მაჰამედ ირიშოვის შვილს ორუჯ ირიშოვს -400 ლარი, ანა ჟორჟოლიანს -600 ლარი. **მკურნალობისათვის** - ბესიკ ბურჭულაძის შვილს ფანი ბურჭულაძეს-600 ლარი, ზაირა ქველაძეს-400 ლარი, ვახიდ შხიევის შვილს ნამიკ შხიევს-600 ლარი და ნათელა ბეჟანიშვილის შვილიშვილს ლუკა ბეჟანიშვილს მკურნალობისათვის 235 ლარი. **საოპერაციო** - ეტიბარ ამიროვის მეუღლეს გიმიტ ჯამანოვას-220 ლარი, ელბრუზ ისმაილოვის მამას სულაეიმან ისმაილოვს-670 ლარი, აკუსანა ნამაზოვას-310 ლარი, ემზარ გაბაიძეს-240 ლარი, მაგამედ გურბანოვს- 760 ლარი, ხოლო როგორც გამონაკლისი, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ალგეთში მცხოვრები ისტამბულ გუსეინოვის შვილისათვის აიტაჯ გუსეინოვასთვის თვალის ოპერაციის ღირებულებიდან 2000 ლარის, ხოლო სოფელ საიმერლოში მცხოვრები მირიან გიორგაძისათვის სარქველის ჩანაცვლების ოპერაციის ღირებულებიდან 2 280 ლარის გადარიცხვა, ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაცემული საგარანტიო წერილებით აღებული ვალდებულების შესასრულებლად, გრეტა კარდაშევისათვის -115 ლარის, რაია აგაჯანოვისათვის -315 ლარის, აიდან ნაბიევასათვის -640 ლარის, ფაგან რზაგულიევისათვის -590 ლარის, შოვკატ ბაირამალიევასათვის - 530 ლარის, ლეილა გასანოვასათვის - 350 ლარის გადარიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნები და განკარგულებები N164 და N165. 06.11.2015 წ)

18. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთვრამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის

გამგებლის 2015 წლის 6 ნოემბრის N03/4661 წერილით შემოსული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-19 მუხლის „დ“ პუნქტის, 24-ე მუხლის „დ.გ.“ პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ა“ პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს თანდართული დოკუმენტაციის სახით წარმოდგენილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელსა (მერაბ თოფჩიშვილი) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) შორის 2015 წლის 12 მაისს ხელმოწერილი, ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების პროექტის მხარდაჭერისა და განხორციელების ხელშეკრულება.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N154. 06.11.2015 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის მეჩვიდმეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი